

**ონლაინ -ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში „შოთა ჭურკვეიძის თასი-2020“
10, 12 და 14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის 13 ივნისი, 2020 წ.**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი: აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაცია; აჭარის ა.რ. სპორტის დეპარტამენტი;
ჩატარების ვადები და ადგილი: 13 ივნისი, 2020 წ. საჭადრაკო პლატფორმა chess.com
Zoom-ში შემოსვლა მოხდება 12:00 საათიდან. ლინკი დაიდება chess.com-ის აჭარის ჭადრაკის
ფედერაციის კლუბის გვერდზე.
2. სისტემა და კვალიფიკაცია:
ტურნირი ტარდება ონლაინ რეჟიმში, ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად.
მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები
დაბადებულნი **2010, 2008 და 2006 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**
3. დროის კონტროლი:
თითოეულ მონაწილეს მიეცემა 5 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 2 წამის
დამატებით.
10 წლამდე კატეგორია დაიწყება 12:00 სთ-ზე, (ზუმში ჩართვა 11:00)
12 წლამდე კატეგორია დაიწყება 16:00 სთ-ზე, (ზუმში ჩართვა 15:00)
14 წლამდე კატეგორია დაიწყება 18:00 სთ-ზე. (ზუმში ჩართვა 17:00)
4. ტურნირში სათამაშოდ მონაწილეები უნდა დარეგისტრირდნენ თავიანთი სახელით
საჭადრაკო პლატფორმაზე www.chess.com და შემდეგ გაწევრიანდნენ აჭარის ჭადრაკის
ფედერაციის კლუბში - Adjarian Chess Federation.
იხილეთ ბმული: <https://www.chess.com/club/adjarian-chess-federation>
ტურნირის კენჭისყრაში გასაწევრიანებელი გრაფა გამოჩნდება თამაშის დაწყებამდე 1 საათით
ადრე და მასში შეერთება (Join) შესაძლებელი იქნება თამაშის დაწყების ბოლო წუთამდე.

მონაწილეებზე იქნება მონიტორინგი პროგრამა Zoom-ის მეშვეობით.

5. გამარჯვებულები:

I, II, III ადგილზე გასული მოჭადრაკეები (გოგონები და ჭაბუკები ცალ-ცალკე) ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაჯილდოვდებიან ფასიანი საჭადრაკო საჩუქრებით.

6. ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება კოეფიციენტით და პრიზები არ გაიყოფა;
7. პრიზიორები ვალდებული არიან პრიზის აღების დროს წარმოადგინონ დაბადების მოწმობა. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
8. მონაწილენი ვალდებული არიან დაიცვან chess.com-ის საზოგადოების წესები და პრინციპები;
9. მოჭადრაკე მიიღებს დისკვალიფიკაციას თუ აღმოჩნდება, რომ მან ისარგებლა დახმარებით ტურნირის მსვლელობის დროს (კომპიუტერული პროგრამით ან სხვა პირისგან). ის დაიბლოკება პორტალ chess.com - ზე და საპრიზო ადგილზე გასვლის შემთხვევაში ვერ მიიღებს პრიზს;
10. პარტიებზე განხორციელდება დაკვირვება chess.com - ის 'ანტიჩიტინგის' სისტემით.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

სალომე მელია

ელ-ფოსტა s.melia@acf.ge ტელ: 599 06 94 97